სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N 22

ქ. ბათუმი 13 თებერვალი 2020წ

ერთის მხრივ, შპს ,,ხელვაჩაურის წყალკანალი“ (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის, ვლადიმერ მიქელაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ლუკა 2018“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის ხათუნა ქამადაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სანტექნილის მასალების შესყიდვა, თანახმად დანართი 1-ის, კერძოდ:

2000 ლტ ორშრიანი ავზი	500	44611500
სამზარეოლოს ონკანი ცივი (დიაბლო)	56	44411100
პლასტმასის ქურო 20 თეთრი იაფი	1	44165300
პლასტმასის მუხლი 20 თეთრი იაფი	1,5	44134000
SFFP010 გაზკბილა 9,5	18	44512200
მილი 20 უფოლგო PN 16 თეთრი DARPIPE	8	44163100
მოქნილი მილი დრეკადი ½-1/2 13მმ 60სმ	20	44165210
ვინტილი მექანიკური შავი მილისათვის 75*75	55	42131400

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 659,5 (ექვსას ორმოცდაცხრამმეტი და ორმოცდაათი) ლარი.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. საქონლის რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი1-ის თანახმად.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანგარიშსწორება მოხდება საქართველოს კანონმდებლ;ობით გათვალისწინებული შესაბამისისაგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა (სასაქონლო ზედნადები / ანგარიშ-ფაქტურა) და სამუშაოს
მიღებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მოწოდების სრულად დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს

საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.
4.2 <u>საქონლის მოწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 23 თებერვლი ჩათვლით.</u>

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის მოწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული საქონლის ინსპექტირებას/შემოწმებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,ხელვაჩაურის წყალკანალი"-ის დირექტორი - ვლადიმერ მიქელაძე
6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას "მიმწოდებელს" ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება

ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და <u>მოქმედებს 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით</u>.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი“

შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“
მის: ქ. ბათუმი დიდაჭარის #23
ს/კ 448382562
ტელ/მობ: 595958561
საბანკო რეკვიზიტები:
სს ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი LBRTGE22
ანგარიშის N GE13LB0115181315739000

დირექტორი:
ვლადიმერ მიქელაძე

LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY
Подписано цифровой подписью: LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY
Дата: 2020.02.13 16:38:43 +04'00'

,,მიმწოდებელი“

შპს „ლუკა 2018“
მის: ქ.ბათუმი ფ. ხალვაშის 98ა
ს/კ: 437070697
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. :“თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22
N GE32TB7143436080100011
ტელ: 535917073

დირექტორი:
ხათუნა ქამადაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ბათუმი

`სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სანტექნიკის მასალების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში სადაც მიმწოდებლად ფიქსირდება შპს „ლუკა 2018 "-ის დირექტორი ხათუნა ქამადაძე მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი"-ს დირექტორი LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY Подписано цифровой подписью: LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY Дата: 2020.02.13 16:38:56 +04'00' ვლადიმერ მიქელაძე

შპს ,,ლუკა 2018" დირექტორი ხათუნა ქამადაძე

დანართი 1

ფასების ცხრილი

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	CPV_კოდი
1	2000 ლტ ორშრიანი ავზი	ცალი	1	500	500	44611500
2	სამზარეოლოს ონკანი ცივი (დიაბლო)	ცალი	4	14	56	44411100
3	პლასტმასის ქურო 20 თეთრი იაფი	ცალი	5	0,20	1	44165300
4	პლასტმასის მუხლი 20 თეთრი იაფი	ცალი	5	0,30	1,5	44134000
5	SFFP010 გაზკბილა 9,5	ცალი	1	18	18	44512200
6	მილი 20 უფოლგო PN 16 თეთრი DARPIPE	მეტრი	8	1	8	44163100
7	მოქნილი მილი დრეკადი ½-1/2 13მმ 60სმ	ცალი	4	5	20	44165210
8	ვინტილი მექანიკური შავი მილისათვის 75*75	ცალი	1	55	55	42131400
	ჯამი				**659,50**	

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს ,,ხელვაჩაურის წყალკანალი“	შპს ,,ლუკა 2018“
დირექტორი	დირექტორი
ვლადიმერ მიქელაძე	ხათუნა ქამადაძე

LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY

Подписано цифровой подписью: LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY
Дата: 2020.02.13 16:39:17 +04'00'